საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ისტორიიდან:
ჩაის გაშენება საბჭოთა საქართველოში 1926-1932 წლებში

ქეთევან ახობაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტიმოთი ბლაუველთი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ახობაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს დასავლეთ საქართველოში ჩაის ინდუსტრიის ჩამოყალიბების პროცესს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პირველ წლებში. ამ პროცესის კვლევა გვაჩვენებს, თუ როგორ განხორციელდა სოფლის მეურნეობის სისტემის გარდაქმნა და რა პროცესებთან იყო დაკავშირებული საქართველოს ინდუსტრიალიზაცია ამ პერიოდში.

დასავლეთ საქართველოში ჩაის დიდ მასშტაბზე გაშენება საბჭოთა კავშირის 1920-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ჩაის ინდუსტრიას - გაშენდა ჩაის პლანტაციები, გადამამუშავებელი ფაბრიკები და კვლევითი ინსტიტუტები. საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში საქართველო საშუალოდ 135 000 ტონა ჩაის აწარმოებდა.

ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურაზე და საარქივო მასალებზე დაყრდნობით მიმოიხილავს ჩაის გაშენებას საქართველოში 1926 წლიდან 1932 წლის ჩათვლით. უფრო კონკრეტულად კი, თუ როგორ და რა პირობებში იწყებოდა ჩაის გაშენება საბჭოთა საქართველოში.

ნაშრომში თავდაპირველად მიმოხილულია საბჭოთა კავშირის ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკა 1920-იან წლებში და პირველი ხუთწლედის პერიოდში, სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორების განვითარება, დახასიათებულია კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები; დახასიათებულია ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში 1920-იან წლებში. საარქივო წყაროებზე დაყრდნობით უფრო დეტალურად არის მიმოხილული თუ რა პროცესებთან იყო დაკავშირებული 1926-32 წლებში ჩაის პლანტაციების გაშენება ჩაის საბჭოთა და კოლმეურნეობების განვითარება.

კვლევამ აჩვენა, რომ თავდაპირველად ჩაის გაშენება გლეხების ინდივიდუალური მეურნეობებისათვის გრძელვადიანი სესხის გაცემით ხდებოდა, 1927 წლიდან კი უპირატესობა კოლმეურნეობებს ენიჭებოდა. შედეგად მომდევნო წლებში გაიზარდა კოლმეურნეობების წილი ჩაის პლანტაციებში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი სირთულეები, რაც პირველ ეტაპზე ჩაის დიდ მასშტაბზე გაშენებას სდევდა თან იყო მომარაგების საკითხი, რადგან ტექნიკურმა კულტურებმა დასავლეთ საქართველოში მარცვლეული კულტურები და საქონელი შეავიწროვა. მომარაგების გარეშე გლეხებს ჩაის გაშენების სტიმული ნაკლებად ჰქონდათ.

სირთულეს ასევე წარმოადგენდა მუშახელის სიმცირე, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში. პრობლემა იყო საერთო საცხოვრებლების არარსებობა და მათი მდგომარეობა. ამ პერიოდში დაიწყო სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, თუმცა ტრაქტორების სიმცირის და სპეციალისტების ნაკლებობის გამო მისი გავლენა პირველ წლებში მცირე იყო.

სირთულეების მიუხედავად, ჩაის ფართობმა პირველი ხუთწლედის პერიოდში 25 500 ჰა-ს მიაღწია, იქ მოყვანილ ჩაის კი უკვე 9 ჩაის ფაბრიკა იბარებდა. პირველმა ხუთწლედმა შექმნა ჩაის ინდუსტრიის განვითარების საფუძველი, რომელიც 30-იანი წლებში და შემდეგაც ეტაპობრივად განვითარდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჩაის ინდუსტრია, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“

Abstract

This paper examines the process of the formation of the tea industry in Western Georgia during the first years of industrialization and collectivization of the Soviet Union. The study of this process shows how the transformation of the agricultural system was carried out and what processes were associated with the industrialization of Georgia during this period.

Large-scale tea cultivation in Western Georgia dates back to the late 1920s and early 1930s of the Soviet Union. During this period, the foundation of the tea industry in Georgia was laid - tea plantations, processing factories and research institutes were established. In the last years of the Soviet Union, Georgia produced an average of 135,000 tons of tea.

Based on scientific literature and archival materials, the paper reviews tea cultivation in Georgia from 1926 to 1932. More specifically, how and under what conditions tea cultivation began in Soviet Georgia.

The work initially reviews the general economic policy of the Soviet Union in the 1920s and during the first five-year plan, the development of the socialist sectors of agriculture, characterizes collective farms and Soviet farms; characterizes the general economic situation in Georgia in the 1920s. Based on archival sources, it reviews in more detail what processes were associated with the development of tea plantations in 1926-32, the development of tea soviet and collective farms.

The study showed that initially tea cultivation was carried out by issuing long-term loans to individual peasant farms, and since 1927, preference was given to collective farms. As a result, the share of collective farms in tea plantations increased in the following years.

Based on the results of the study, it can be said that the main difficulties that accompanied the cultivation of tea on a large scale at the first stage were the issue of supply, as technical crops squeezed out grain crops and livestock in western Georgia. Without supply, peasants had little incentive to grow tea.

Another difficulty was the shortage of labor, especially in Soviet farms. The problem was the absence of communal housing and their condition. During this period, the mechanization of

agriculture began, although due to the shortage of tractors and the lack of specialists, its impact was small in the first years.

Despite the difficulties, the tea area reached 25,500 ha during the first five-year plan, and the tea grown there was already being processed by 9 tea factories. The first five-year plan laid the foundation for the development of the tea industry, which gradually developed in the 1930s and later.

Key words: tea industry, industrialization, collectivization, Joint Stock Company "Georgian Tea"